საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გიორგიწმინდა

გიორგიწმინდა, სოფელი საგარეჯოს მუნიციპალიტეტში (კახეთის მხარე), გომბორის ქედის სამხრ. მთისწინეთში, მდ. წიფლისხევის (ივრის მარცხ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. თემის ცენტრი (სოფლები: გ., ანთოკი, მარიამჯვარი). ზ. დ. 720 მ, საგარეჯოდან 5 კმ. 2,6 ათ. მცხ. (2002).

სოფელში, ერთმანეთისგან ოციოდე მეტრის დაშორებით დგას XVIII ს. II ნახევრის ორი ცილინდრული კოშკი, მათ შორის კი – დარბაზული ეკლესია. ეკლესიის სამხრ. შესასვლელის თავზე ჩასმულია წარწერიანი ქვა. როგორც ირკვევა ეკლესია 1800 საკუთარი სახსრებით აუგია მღვდელ ი. კევლიშვილს. რესტავრირებულია 2010.

ლიტ. : ბ ე რ ი ძ ე ვ., XVI–XVII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1983; ზ ა ქ ა რ ა ი ა პ., კახეთის საფორტიფიკაციო ნაგებობანი, თბ., 1962.